თამბაქოს წარმოების ლიცენზია

„თამბაქოს წარმოების ლიცენზიის“ გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამინისტროს მიერ თამბაქოს წარმოების ლიცენზია გაიცემა ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, თამბაქოს მწარმოებელს კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე, ენიჭება თამბაქოს წარმოების განხორციელების უფლება.

ლიცენზიის მაძიებელმა თამბაქოს წარმოების ლიცენზიის მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გარდა, ლიცენზიის მისაღებად წარსადგენ განცხადებას, თან უნდა დაურთოს ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული:

- ✓ მონაცემები საწარმოო ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ;
- ✓ საწარმოო ობიექტის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ✓ ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა;
- ✓ ინფორმაცია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ✓ ინფორმაცია ლაბორატორიის მოწყობისა და მისი აღჭურვილობის შესახებ;
- ✓ ინფორმაცია ლაბორატორიაში განსაზღვრულ პროცესებზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ ლაბორატორიას გააჩნია საჭირო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი;

- ✓ ინფორმაცია საწარმოში განსაზღვრულ საწარმოო პროცესებზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ საწარმოს გააჩნია საჭირო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით თამბქოს წარმოების ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 50,000 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო კონტროლის შესახებ“

https://www.matsne.gov.ge/document/view/12880?publication=92

საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“

https://www.matsne.gov.ge/document/view/1160150?publication=17

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 აპრილის N115 დადგენილება „თამბაქოს წარმოების ლიცენზირების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“

https://www.matsne.gov.ge/document/view/6474893?publication=1